საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011773565800322

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

184095

01 / ნოემბერი / 2022 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ნინო ვარდოსანიძეს
ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის უფროსს ლევან ნაროუშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - "სააგენტოს") 2022 წლის 6 ოქტომბერს წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის N 14-0122279889 (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის N 269391/17 თარიღი: 2022 წლის 6 ოქტომბერი) მომართვა,რომლითაც მოთხოვნილ იქნა ქალაქ თბილისში მიხეილ იპოლიტ-ივანოვის ქუჩის მიმდებარედ არსებული გეოგრაფიული ობიექტებისათვის შესაბამისი ნუმერაციის განსაზღვრა.

განგიმარტავთ, რომ მოქმედი მისამართები შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ პრინციპებთან. ამასთან, აღნიშნული ქუჩის გავრცელების არეალი (გეოგრაფიული მოხაზულობა, განფენილობა) არ იძლევა საშუალებას, რომ მის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთების ნუმერაციის კორექტირება განხორციელდეს ლოგიკური თანამიმდევრულობით, ვინაიდან ზემოაღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტს არ აქვთ ქუჩისათვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი - ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული წერტილი (არამედ, აქვთ ერთგვარი ქსელური ხასიათი). გთხოვთ, დანართის სახით იხილოთ სიტუაციური ნახაზები, რომლებზეც ასახულია მითითებულ ქუჩების მოხაზულობა.

გთხოვთ,ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ თანახმად, განახორციელოთ შესაბამისი ქმედებები ზემოაღნიშნული ქუჩის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის მონაკვეთისთვის, I ჩიხის მონაკვეთისთვის და ილორის ქუჩის მონაკვეთისთვის კომპოზიტორის თამარ ვახვახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის მონაკვეთს, I ჩიხის მონაკვეთს და ილორის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს კომპოზიტორის თამარ ვახვახიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


საძებნი სიტყვა
NAPR
01.11.04.026.157
01.11.04.026.111
01.11.04.026.153
01.11.04.026.155
01.11.05.035.009
01.11.05.033.087
01.11.05.033.058
01.11.05.033.057
01.11.05.033.046
01.11.05.033.029
01.11.05.033.008
01.11.05.033.026
01.11.05.033.024
01.11.05.033.702
01.11.05.037.060
01.11.05.037.066
01.11.05.036.008
01.11.05.036.076
01.11.05.036.003
01.11.05.036.012
01.11.05.036.050
01.11.05.037.018
01.11.05.037.010
01.11.05.037.061
01.11.05.037.036
01.11.05.037.007
01.11.12.019.011
01.11.12.019.032
01.11.12.019.162
01.11.12.019.114
01.11.12.019.154
01.11.12.019.097
01.11.12.019.193
01.11.12.019.002
01.02.271
01.00.194
01.01.006
01.00.393
01.01.087
01.01.933
დიდგორის ქუჩა
ქერჩის ქუჩა
დავით სარჯველაძის ქუჩა
1 : 1884
გეოგრაფიული (გრძედი,განა

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის II ჩიხისთვის ქერჩის ქუჩის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის II ჩიხს მიენიჭოს ქერჩის ქუჩის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებ

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


1 : 1253
გეოგრაფიული (გრძე

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის, შესახვევებისთვის და გასასვლელებისთვის ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელის მინიჭების შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩას, მასთან არსებულ ჩიხებს, შესახვევებს და გასასვლელებს ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად მიენიჭოს მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელი.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


საძებნი სიტყვა
NAPR
1 : 8034
გეოგრაფიული (გრძედი,გან



თამარ ვახვახიშვილი

(1894-1976)

კომპოზიტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში, შემდეგ დაამთავრა პარიზის კონსერვატორიის ვივალდის საკომპოზიციო კლასი. 1921–1926 წლებში იყო თბილისის მუსიკალური სკოლის დირექტორი, ამავე დროს რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების მუსიკალური ნაწილის გამგე. 1933–1971 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში, რომლის წამყვან თეატრებში მუსიკალურად გააფორმა მრავალი სპექტაკლი.

თამარ ვახვახიშვილი ავტორია ასევე სხვადასხვა ჟანრის ორიგინალური ნაწარმოებების, მაგალითად მის კალამს ეკუთვნის ბალეტები: „ბახუსის დღესასწაული“, „სიყვარულის ბანგი“, „სპარტაკი“, პანტომიმები: „მზეთამზე“, „ხანძარი“, მუსიკალური კომედია „დონ ჰილი — მწვანე შარვალი“ და მრავალი სხვა.

თამარ ვახვახიშვილმა დაგვიტოვა შესანიშნავი მოგონებები „თერთმეტი წელი კოტე მარჯანიშვილთან“.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.